საბჭოთა მეცნიერების ტრიუმფი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

27 ოქტომბერი კვირა 1968

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 49-ე წელი • № 253 (14249)

საკდესის ცნობა

ორბიტაზეა საბჭოთა პილოტირებული ხომალდი „სოიუზ-3“

1968 წლის 26 ოქტომბერს 11 საათსა და 34 წუთზე მოსკოვის დროით დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის ორბიტაზე მძლავრი მატარებელი რაკეტით გაყვანილია კოსმოსური ხომალდი „სოიუზ-3“.

კოსმოსურ ხომალდს მართავს საბჭოთა კავშირის მოქალაქე კოსმონავტი მფრინავი, საბჭოთა კავშირის გმირი, სსრ კავშირის დამსახურებული გამომცდელი მფრინავი, პოლკოვნიკი გიორგი ტიმოთეს-ძე ბერეგოვოი.

კოსმოსურ ხომალდ „სოიუზ-3“-თან დამყარებულია საიმედო ორმხრივი რადიოკავშირი. ხომალდიდან ცნობები მოდის 15,008; 20,008 მეგაჰერცი სიხშირით.

კოსმონავტი მფრინავის ამხანაგ გიორგი ტიმოთეს-ძე ბერეგოვოის მოხსენების თანახმად, იგი თავს კარგად გრძნობს.

კოსმოსური ხომალდი „სოიუზ-3“ გაყვანილია ორბიტაზე, რომელიც გათვალისწინებულს უახლოვდება და რომლის პარამეტრებია:

დედამიწის გარშემო მიმოქცევის პერიოდი 88,6 წუთი;

მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (აპოგეა) — 225 კილომეტრი;

მინიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (პერიგეა) — 205 კილომეტრი.

ორბიტის დახრილობა — 51 გრადუსი და 40 მინუტი.

ხომალდ „სოიუზ-3“-ის სისტემები ნორმალურად მუშაობენ. წნევა და ტემპერატურა გათვალისწინებულ ფარგლებშია. კოსმონავტი მფრინავი ამხანაგი გიორგი ტიმოთეს-ძე ბერეგოვოი შეუდგა ფრენის პროგრამის შესრულებას.

მიფრინავს კოსმოსური ხომალდი „სოიუზ-3“

კოსმოსური ხომალდი „სოიუზ-3“ ფრენას განაგრძობს. ორბიტაზე გაყვანისა და ფრენის პროცესში კოსმონავტმა შეასრულა პროგრამით გათვალისწინებული ყველა ოპერაცია, საფუძვლიანად მოახსენა ხომალდის სისტემების მუშაობის შესახებ. კოსმონავტი მფრინავი ამხანაგი გიორგი ტიმოთეს-ძე ბერეგოვოი თავს კარგად გრძნობს.

პირველი გარშემოვლის დროს ფრენის პროგრამის შესაბამისად ხომალდი „სოიუზ-3“ მიუახლოვდა უპილოტო ხომალდ „სოიუზ-2“-ს. პირველ ეტაპზე 200 მეტრ მანძილზე მიახლოება განხორციელდა ავტომატური სისტემით. მიახლოების შემდგომ ოპერაციებს ახორციელებდა კოსმონავტი მფრინავი ამხანაგი ბერეგოვოი ხელით მართვის სისტემის გამოყენებით.

ხომალდი „სოიუზ-2“ დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის ორბიტაზე გაუშვეს 1968 წლის 25 ოქტომბერს პილოტირებულ ხომალდ „სოიუზ-3“-თან ერთობლივი ექსპერიმენტებისათვის. ხომალდ „სოიუზ-2“-ის ორბიტის საწყისი პარამეტრებია: მიმოქცევის პერიოდი 88,5 წუთი, მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (აპოგეა)—224 კილომეტრი; მინიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (პერიგეა) — 185 კილომეტრი; ორბიტის დახრილობა — 51,7 გრადუსი.

ხომალდ „სოიუზ-3“-დან წარმოებდა სატელევიზიო გადაცემა.

ტელემეტრიულ გაზომვათა მონაცემებით, ხომალდების სისტემები ნორმალურად მუშაობენ. წნევა და ტემპერატურა გათვალისწინებულის ფარგლებშია.

კოსმონავტი მფრინავი ამხანაგი ბერეგოვოი წარმატებით განაგრძობს ექსპერიმენტებისა და კვლევის დასახული პროგრამის შესრულებას.

საბჭოთა კავშირის გმირი პოლკოვნიკი გიორგი ტიმოთეს-ძე ბერეგოვოი ხომალდ „სოიუზ-3“-ის მეთაური, კოსმონავტი მფრინავი

გიორგი ტიმოთეს-ძე ბერეგოვოი დაიბადა 1921 წლის 15 აპრილს პოლტავის ოლქის კარლოვკის რაიონის სოფელ ფედოროვკაში. ბავშვობა ქალაქ ენგელსში გაატარა.

ჩვიდმეტი წლისამ, სამუალო სკოლის რვა კლასი რომ დაამთავრა, გიორგიმ მუშაობა დაიწყო ენგელსის მეტალურგიულ ქარხანაში.

გიორგი ახალგაზრდობაშივე გატაცებული იყო ავიაციით. აეროკლუბის დამთავრების შემდეგ 1938 წლის დეკემბერში შევიდა ლუგანსკის სამხედრო მფრინავთა სკოლაში. მას შემდეგ გიორგი ტიმოთეს-ძე უკვე ოცდაათი წელია მსახურობს საბჭოთა არმიის სამხედრო-საჰაერო ძალებში.

დიდი სამამულო ომის დაწყებისთანავე იგი მოქმედ არმიაში გაიგზავნა და მონაწილეობდა მოიერიშე ავიაციის საბრძოლო მოქმედებაში სხვადასხვა ფრონტზე.

1943 წლის აგვისტოში გიორგი ტიმოთეს-ძე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებში შედის.

1944 წლის ოქტომბერში ფაშისტი ოკუპანტების წინააღმდეგ ბრძოლებში მამაცობისა და გმირობის გამოჩენისათვის გიორგი ტიმოთეს-ძე ბერეგოვოის საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.

ომის დამთავრების შემდეგ გიორგი ტიმოთეს-ძემ დაამთავრა ოფიცერთა უმაღლესი სკოლა, შემდეგ კი გამომცდელ მფრინავთა კურსები.

1956 წელს გამომცდელი მფრინავის მუშაობისაგან მოუწყვეტლივ მან დაამთავრა წითელდროშოვანი, ამუამად ი. ა. გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემია.

გამომცდელ მფრინავად გიორგი ტიმოთეს-ძე ბერეგოვოი მუშაობდა 1948-დან 1964 წლამდე. 1961 წელს მას მიენიჭა „სსრ კავშირის დამსახურებული გამომცდელი მფრინავის“ სატატენო წოდება.

1964 წელს გიორგი ტიმოთეს-ძე ჩარიცხულ იქნა კოსმონავტთა რაზმში.

საბჭოთა კავშირის გმირი გიორგი ტიმოთეს-ძე ბერეგოვოი დაჯილდოებულია ბევრი ორდენითა და მედლით.

გიორგი ტიმოთეს-ძე ცოლიანია. მისი ცოლი ლიდია მათეს ასული დაიბადა 1929 წელს, დამთავრა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი და მუშაობს ისტორიის მასწავლებლად სამუალო სკოლაში.

მათი ვაჟი ვიქტორი სტუდენტია, გოგონა ლიუდმილა სკოლაში სწავლობს.

ამხანაგ ბერეგოვოის მამა — რკინიგზის კავშირგაბმულობის მუშაკი, გარდაიცვალა 1950 წელს, დედა მარიამ სიმონის ასული, დაბადებული 1898 წელს, შვილის ოჯახში ცხოვრობს.

ფოტო ვ. ჩერედნიცკევიჩისა. (საკდესი).

(სურათი მიღებულია საქდესის ფოტოტელეგრაფით).

საბჭოთა კოსმონავტი მფრინავი, საბჭოთა კავშირის გმირი, სსრ კავშირის დამსახურებული გამომცდელი მფრინავი, პოლკოვნიკი გიორგი ტიმოთეს-ძე ბერეგოვოი.

ფოტო ვ. ჩერედნიცკევიჩისა (საკდესი).

(სურათი მიღებულია საქდესის ფოტოტელეგრაფით).

კოსმოსური ტრასის ახალი მოიერიშე

გული სიამაყით ამსოფლიოს გვეცხადება

ამერიდიანებზე

მძლავრმა მატარებელმა რაკეტამ დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის ორბიტაზე გაიყვანა კოსმოსური ხომალდი „სოიუზ-3“. კიდევ ერთი საბჭოთა კოსმონავტი მფრინავი შეუდგა ფრენის პროგრამის შესრულებას. ეს ნიშნავს, რომ საბჭოთა მეცნიერება და ტექნიკა, რომელთა ახალ გამარჯვებას ადასტურებს კოსმოსში კიდევ ერთი პილოტირებული ხომალდის გაშვება, გამდიდრდება დიდმნიშვნელოვანი მონაცემებითა და დაკვირვებებით, რომლებიც გააფართოებენ ჩვენს წარმოდგენას სამყაროზე.

ეს სიამაყით აღავსებს ჩვენს გულს. არ შეიძლება არ გვახარებდეს საბჭოთის მეცნიერთა თანამიმდევრული და მტკიცე მისწრაფება დაეუფლონ კოსმოსს, გაჟღალონ ვარსკვლავეთის ახალი გზები.

ორბიტაზე „სოიუზ-3“-ის ზუსტად გაყვანა მოწმობს თუ რაოდენ სიმედოა მეცნიერთა გაანგარიშებანი. როგორ დახელოვნდნენ ჩვენი კონსტრუქტორები, ინჟინრები და მუშები, მოწმობს, რომ საბჭოთა ხალხი მზად არის ახალი გმირობისათვის სამშობლოს სასახელოდ, კომუნიზმის საკეთილდღეოდ. ყველანი მღელვარებით მოველით შემდგომ ცნობებს კოსმოსური ხომალდის „სოიუზ-3“-ის ფრენის შესახებ. ეჭვი არ არის, რომ მის წინაშე დასახული დიდმნიშვნელოვანი მეცნიერული ამოცანები, რომელთა გადაწყვეტა კიდევ უფრო გაუთქვამს სახელს საბჭოთა მეცნიერებას.

ვ. კუპრაძე,

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი.

დიდი უპირატესობანი

კოსმოსური ხომალდის „სოიუზ-3“-ის გაშვება, რომელიც მძლავრმა მატარებელმა რაკეტამ გაიყვანა ორბიტაზე, კვლავ ადასტურებს საბჭოთა კავშირის უდიდეს წარმატებებს. ზოგიერთს, განსაკუთრებით სახლვარგარეთ, ჰგონია, თითქოს ეს წარმატებანი უპირატესად კოსმოსური კვლევის დარგს მიეკუთვნებოდეს. ეს სრულიადაც არ არის სწორი. ჩვენი მიღწევები კოსმოსური სივრცის ათვისების დარგში ერთ-ერთი ყველაზე მკაფიო მაჩვენებელია იმისა, თუ რა უდიდესი ძვრები მოხდა საბჭოთა ხელისუფლების წლებში ჩვენი ქვეყნის მეცნიერების, ტექნიკისა და ეკონომიკის ყველა წამყვან დარგში. ეს ძვრები თავის მხრივ მოწმობენ ჩვენი საბჭოთა სოციალისტური და სახელმწიფო წყობილების უპირატესობებს, რომელსაც საფუძვლად უდევს მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგია. ღრმა სიმბოლურია, რომ კომუნისტური პარტიის აღზრდილი პოლკოვნიკი გიორგი ტიმოთეს-ძე ბერეგოვოი კოსმოსური ხომალდით ცაში აიჭრა ახლა, როცა 50 წლისთავის იუბილეს ვუხდით ლენინურ კომკავშირს, რომელსაც ბევრი ასეთი გმირი გამოუზრდია.

ჩვენი მეცნიერები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, ამაყობენ ახალი ისტორიული გმირობით და სულითა და გულით უსურვებენ ჩვენს თანამემამულეს პოლკოვნიკ გიორგი ტიმოთეს-ძეს ბერეგოვოის ჩინებულად შეესრულებინოს პასუხსაგები დავალება და მშვიდობიანად დაბრუნებულიყოს დედამიწაზე.

თ. დავითაია,

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი.

საკდესის ცნობა საბჭოთა კოსმოსური ხომალდის „სოიუზ-3“-ის გაშვების შესახებ მაშინვე გახდა მთავარი ახალი ამბავი. მსოფლიოს ყველა საბაგენტომ ეს ცნობა დაუყოვნებლივ გადასცა ნიშნით „ელვა“.

რომი. „საბჭოთა კავშირმა დედამიწის გარშემო ორბიტაზე გაუშვა კოსმოსური ხომალდი „სოიუზ-3“, რომელშიც არის პოლკოვნიკი გიორგი ბერეგოვოი“, — აცნობებს იტალიის გაზეთების რედაქციას ანსას საagენტო.

საკდესის ცნობა ხომალდის გაშვების შესახებ ეთერში გადასცა იტალიის რადიომ.

ჟენევა. მას შემდეგ, რაც მოსკოვის რადიომ გადასცა საკდესის ცნობა პოლკოვნიკ გ. ტ. ბერეგოვოის ფრენის შესახებ კოსმოსური ხომალდით „სოიუზ-3“, ცნობები გადასცეს ფინეთის დეკანოზთა გიუგომ და რადიომ.

პრაღა. საკდესის ცნობა ჩეხოსლოვაკიის პრესის სააგენტომ გადასცა გაზეთებისათვის, რადიოსა და ტელევიზიისათვის.

ცენტრალური რადიოსადგურები აღნიშნავენ, რომ საბჭოთა ხომალდი ორბიტაზე გაიყვანა მძლავრმა რაკეტამ, რომ კოსმონავტ მფრინავთან დამყარებულია საიმედო ორმხრივი რადიოკავშირი.

ახალმა საბჭოთა კოსმოსურმა ექსპერიმენტმა დიდი ინტერესი გამოიწვია ჩეხოსლოვაკიელ ასტრონომებს შორის, კერძოდ, ონდრეკევის ასტრონომიულ ობსერვატორიაში, რომელიც აკვირდება დედამიწის ხელოვნურ თანამგზავრებს და კოსმოსურ აპარატებს.

ტოკიო. საკდესის ცნობას დედამიწის ირგვლივ ორბიტაზე საბჭოთა კოსმოსური ხომალდის წარმატებით გასვლის შესახებ გადასცემენ იაპონიის რადიო და ტელევიზია, რომლებმაც შეწყვიტეს ჩვეულებრივი პროგრამა.

საკდესის ტოკიოს განყოფილების ტელეტაიპი იღებს უცხოეთის სააგენტოთა ცნობებს გრიფით „სასწრაფო“, „ძალიან სასწრაფო“, „ელვა“. (საკდესი).

დარგაზოგა კრემლში

სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა 25 ოქტომბერს კრემლის ყრილობათა სახლში დარგაზობა გამართა სრულიად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის 50 წლისთავთან დაკავშირებით.

დარგაზობაზე იყვნენ სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის საზეიმო პლენუმის მონაწილენი, პარტიისა და კომკავშირის ვეტერანები, პარტიული, სახელმწიფო, საზოგადო მოღვაწენი. სტუმართა შორის იყვნენ საზღვარგარეთის ახალგაზრდობის ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

შეკრებილთ მიესალმა სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. მ. ტიბუილნიკოვი.

დარგაზობამ გულითადობისა და მეგობრობის ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

30-იანი წლების კომკავშირელთა შეკრება

26 ოქტომბერს თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლში გაიმართა საქართველოს 30-იანი წლების აეროკლუბების კურსდამთავრებულთა მეორე შეკრება, რომელიც ლენინური კომკავშირის 50 წლისთავს მიეძღვნა.

შეკრება გახსნა ავიაციის გადამდგარმა გენერალ-მაიორმა, თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლთან არსებული სამხედრო-სამეცნიერო საზოგადოების ავიასექციის ხელმძღვანელმა ვ. ნაზაროვმა.

მოხსენება „საქართველოს სსრ აეროკლუბების ვეტერანთა ფრთოსანი თაობა“ გააკეთა თადარიგის მაიორმა ვ. ცაგარელმა. მან ილაპარაკა თბილისის აეროკლუბის პირველ კურსანტებზე ნ. ხუბულავაზე, ნ. გაზოკიძეზე, ბ. ფახლევანიანზე, ა. პროკოფიევსა და სხვებზე, რომლებმაც ბევრი ბრწყინვალე ფრენები ჩაწერეს საბჭოთა ავიაციის ისტორიაში.

თავიანთი არსებობის მანძილზე საქართველოს აეროკლუბებმა ცხოვრების საგზური მისცეს ბევრ მფრინავს. ეს მფრინავები, თავგანწირვით იბრძოდნენ ცაში, იცავდნენ სამშობლოს ფაშისტ დამპყრობთაგან დიდი სამამულო ომის წლებში.

შეკრებაზე გამოვიდნენ საბჭოთა კავშირის არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელმძღვანელებაყოფლობითი საზოგადოების რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ს. აბულაძე, ვეტერანები ვ. ნანეიშვილი, ნ. პუროგინი, მ. მერკულოვი, კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის სპორტული და მასობრივი თავდაცვითი განყოფილების გამგე გ. შონია.

შეკრების მონაწილეებმა გადწყვიტეს ყოფილი აეროპორტის ადგილას გაამშენონ სკვერი, სკვერის ცენტრში კი დადგან ობელისკი და ზედ ამოკვეთონ საქართველოს იმ პირველი მფრინავების გვარები, რომლებმაც თავი შესწირეს ჩვენი სამშობლოს დიდებას, შექმნან საქართველოს ავიაციის მუზეუმი, გამოსაცემად მოამზადონ თემატური ლიტერატურულ-ისტორიული კრებული „ამიერკავკასიელი არწივები“. (საკდესი).

ბარაქიანი ზემოდგომა

— ჩვენი რაიონის პარტიულმა ორგანიზაციებმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა, სოფლის მშრომელებმა, სახელოვანმა მევენახეებმა, — განაცხადა „კომუნისტის“ რედაქციის თანამშრომელთან საუბარში საქართველოს კპ ზესტაფონის რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. შ. ვერულავშვილმა, — ძალა და ენერგია არ დაიშურეს იმისათვის, რომ ხუთწლედის მესამე წელს მაღალხარისხოვანი ყურძნის უხვი მოსავალი მიეღოთ.

ბარაქიანი ზემოდგომა თავის მადლიან კალთას იბერტყავს ზესტაფონის რაიონის ზვრებში. მევენახეები უხვად იმკიან მთელი წლის თავდადებული შრომის ნაყოფს. გეგმების შესრულების ციფრები მეტყველებენ მათს შრომითს მიღწევებზე. უკვე 26 ოქტომბრისათვის სახელმწიფოს მიჰყიდეს 17.500 ტონა მაღალხარისხოვანი ყურძენი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 17.176 ტონისა.

რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ყურძნის დამზადების გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს. სამ-ოთხ დღეში შესრულდება ვალდებულება, რომელიც ითვალისწინებს სახელმწიფოსათვის გეგმის ზევით 2 ათასი ტონა ყურძნის მიყიდვას.

ყურძნის უხვი მოსავლის მოყვანის საქმეში

საუბარი საქართველოს კპ ზესტაფონის რაიკომის პირველ მდივანთან ამხ. შ. ვერულავშვილთან

თავი იჩაჩალა სოფელ ალავერდის ორჭონიკიძის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე შ. სილაგაძე, პარტიული ორგანიზაციის მდივანი ბ. ქათამაძე), რომელმაც ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 815 ტონისა სახელმწიფოს მიჰყიდა 492 ტონა ყურძენი და გეგმა 156 პროცენტით შეასრულა.

მოწინავეთა რიგებში დგას ფუთის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ციალა გელაშვილი, პარტიული ორგანიზაციის მდივანი გ. თუთბერიძე), რომელმაც სახელმწიფოს მიჰყიდა 440 ტონა ყურძენი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 305 ტონისა და გეგმა 145 პროცენტით შეასრულა.

ყურძნის მოსავლის მიღების მაღალი მაჩვენებლები აქვს მეორე სვირის ლენინის სახელობის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე გ. ბერგვაძე, პარტიული ორგანიზაციის მდივანი პ. წაქაძე), რომელმაც სახელმწიფოს მიჰყიდა 520 ტონა ყურძენი ნაცვლად 455-ისა.

ასევე თავი გამოიჩინეს სოფელ ტაბაკინის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ა. ზარნაძე, პარტიული ორგანიზაციის მდივანი ნ. გაგოშიძე), ილემენის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ა. ნიქაბაძე, პარტიული ორგანიზაციის მდივანი ვ. სხილაძე), კლდეეთის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე დ. ფერაძე, პარტიული ორგანიზაციის მდივანი ნ. დევიძე), საზანოს რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე კ. აბესაძე, პარტიული ორგანიზაციის მდივანი ლ. ქვათაძე), საზანოს კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ლ. ორბელაძე, პარტიული ორგანიზაციის მდივანი ლ. ზუზაძე), ზოვრეთის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ს. გოგიშვილი, პარტიული ორგანიზაციის მდივანი დ. ლელაძე).

ყურძნის შესანიშნავი მოსავალი მიიღეს და გეგმებს გადაჭარბებით ასრულებენ არგვეთის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა (დირექტორი ქ. ზარნაძე, პარტიული ორგანიზაციის მდივანი ვ. ნიკაბაძე), სვირის სანერგე საბჭოთა მეურნეობა (დირექტორი გ. თუთაიშვილი, პარტიული ორგანიზაციის მდივანი ვ. სარალიძე).

მოსახლეობისაგან სახელმწიფოსათვის ყურძნის ორგანიზებულად მიყიდვის საქმეში კარგად იმოქმედეს პირველი სვირის სასოფლო საბჭომ (თავმჯდომარე ლ. კაკაურიძე), მეორე სვირის (თავმჯდომარე შ. ლომინაშვილი), ფუთის (თავმჯდომარე ა. ვარდოსანიძე), როდინეულის (თავმჯდომარე გ. ლილუაშვილი), ქვედა საქარის (თავმჯდომარე ლ. გურული), ზედა საქარის (თავმჯდომარე ნ. კახელი) და სხვა სასოფლო საბჭოებმა.

საქმეს ჩინებულად გაართვეს თავი ღვინის პირველადი გადამუშავების ქარხნებმაც — ქვედა საზანოს, პირველი სვირის, მეორე სვირის, ვაქვეის, კვალითის, ზესტაფონისა და არგვეთის ღვინის ქარხნებმა.

როგორც ყოველთვის, წელსაც შრომაში თავი იჩაჩალეს სოციალისტური შრომის გმირებმა — არსენ, ვეფხია და გრიგოლ კვანტარიშვილებმა, ილია გაჩეჩილაძემ (სოფ. ალავერდის კოლმეურნეობა), მიხეილ შალამბერიძემ (ცხრაწყაროს კოლმეურნეობა), ნიკოლოზ ქათამაძემ და დომენტი ლილაძემ (არგვეთის საბჭოთა მეურნეობა).

ზესტაფონელმა მევენახეებმა აწონდაწონეს თავიანთი შესაძლებლობანი და გადაწყვეტეს ვალდებულებით ნაკისრი 2 ათასი ტონის ნაცვლად სახელმწიფოს გეგმის ზევით მიჰყიდონ 3 ათასი ტონა ყურძენი.

მათი სიტყვა და საქმე ერთი იქნება!

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავის აღსანიშნავად მოეწყოს რესპუბლიკური კონკურსები ლიტერატურისა და ხელოვნების მაღალიდეური მხატვრული ნაწარმოებების შექმნისათვის.

კონკურსებს ლიტერატურის (პროზა, პოეზია) დარგში აცხადებენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტი და საქართველოს მწერალთა კავშირი; დრამატურგიის დარგში საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო, საქართველოს მწერალთა კავშირი და საქართველოს თეატრალური საზოგადოება; კინემატოგრაფიის დარგში (სრულმეტრაჟიანი ფილმების კინოსცენარები) — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტი და საქართველოს კინემატოგრაფიის მუშაკთა კავშირი; მუსიკის დარგში (ოპერა, ბალეტი, სიმფონია, ორატორია, კანტატა) — საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო და საქართველოს კომპოზიტორთა კავშირი; სახვითი ხელოვნების დარგში (ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება) — საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო და რესპუბლიკის მხატვართა კავშირი.

კონკურსის გამარჯვებულთათვის დაწესებულია შემდეგი პრემიები: ლიტერატურის დარგში 4 პრემია, კინემატოგრაფიის დარგში — 3 პრემია, დრამატურგიის დარგში — 3 პრემია, მუსიკის დარგში — 3 პრემია, სახვითი ხელოვნების დარგში — 4 პრემია.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს, მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიისა და ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტებს საქმიროების შემთხვევაში უფლება ეძლევათ კონკურსების დასკვნითი ტურების მონაწილეებს მისცენ ფასიანი შემოქმედებითი შვებულებანი ექვსი თვის ვადით ძირითად სამუშაო ადგილზე ხელფასის შეუნარჩუნებლად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დაავალა კულტურის სამინისტროს, კინემატოგრაფიისა და ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტებს, საქართველოს მწერალთა, კომპოზიტორთა, მხატვართა, კინემატოგრაფიის მუშაკთა კავშირებს, საქართველოს თეატრალურ საზოგადოებას ორი კვირის ვადაში შეიმუშაონ დებულება კონკურსების მოწყობის შესახებ ლიტერატურისა და ხელოვნების მაღალიდეური მხატვრული ნაწარმოებების შექმნისათვის, აგრეთვე დაამტკიცონ ყიურის შემადგენლობა.

დებულება კონკურსების შესახებ გამოქვეყნდება პრესაში. (საქდესი).

საქართველოს კროფსაბჭოს კრეზიდიუმსა და საქართველოს მწერალთა კავშირის გაგეგეობაში

რესპუბლიკური კონკურსი მხატვრული პროზის საუკეთესო ნაწარმოებისათვის

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობამ გადაწყვიტეს ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად 1968-1970 წლებში მოაწყონ რესპუბლიკური ღია კონკურსი საბჭოთა მუშათა კლასის შესახებ მხატვრული პროზის საუკეთესო ნაწარმოებისათვის.

კონკურსის გამარჯვებულთათვის დაწესებულია საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს რესპუბლიკური პრემიები: **ერთი პირველი პრემია 3.000 მანეთის ოდენობით, ორი მეორე პრემია — თითოეული 2.000 მანეთის ოდენობით, სამი მესამე პრემია — თითოეული 1.000 მანეთის ოდენობით.**

დამტკიცებულია რესპუბლიკური კონკურსის მომწყობი ყიურის შემადგენლობა: მწერალი **კ. ლორთქიფანიძე** (თავმჯდომარე), საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი **დ. ილელიანი** (თავმჯდომარის მოადგილე), კულტურის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე **ე. გოგიაშვილი**, მწერალი **რ. ჯაფარიძე**, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა სამმართველოს უფროსი **ა. კალანდარიშვილი**, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ნ. ოდილაძე**, ჟურნალ „ცნობის“ რედაქტორი **ე. ბალანიძე**, „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორი **რ. მარგიანი**, ჟურნალ „ლიტერატურნაია გრუზიას“ რედაქტორი **ბ. მრევლიშვილი**, ჟურნალ „დროშის“ რედაქტორი **გ. ნატროშვილი**, თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მქსოველი, სოციალისტური შრომის გმირი **ე. სოლომონია**, საქართველოს პროფსაბჭოს ინსტრუქტორი **რ. სურგულაძე**, ჟურნალ „ცისკრის“ რედაქტორი **ჯ. ჩარკვიანი**, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ დირექტორი **ვ. ჭელიძე**, „მთავართბილისმშენის“ № 10 სამშენებლო სამმართველოს ხუროთა ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი **ვ. ჭელიძე**, საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი **ს. ჭილაია**, საქართველოს პროფსაბჭოს კულტურულ-მასობრივი განყოფილების გამგე **ი. ჩოჩია**, თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის დირექტორი, სოციალისტური შრომის გმირი **ი. ხვედელიანი**, მწერლები **დ. შენგელაია, მ. ელიოშვილი.**

კონკურსისათვის მიიღება ნაწარმოებთა ხელნაწერები, აგრეთვე საყურნალო პუბლიკაციები და კონკურსის პერიოდში გამოსული წიგნები: ნაწარმოები შეიძლება წარდგენილ იქნეს ქართულ და რუსულ ენებზე. ხელნაწერთა მოცულობა შეზღუდული არ არის.

კონკურსის შედეგებს შეაჯამებს ყიური და დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმსა და საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობას 1969 წლის 1 დეკემბრამდე.

პრემიებით აღნიშნული ნაწარმოებები დაიბეჭდება ჟურნალებში „მნათობსა“ და „ცისკარში“ და რესპუბლიკის სხვა პერიოდულ გამოცემებში ან ცალკე წიგნებად გამოუშვებენ გამომცემლობები.

საკონკურსო ნაწარმოებები უნდა გაიგზავნოს საქართველოს პროფსაბჭოში, გრიბოედოვის ქუჩა, № 19, კულტურულ-მასობრივ განყოფილებაში 1969 წლის 1 ნოემბრამდე. (საქდესი).

შრომის მეცნიერული ორგანიზაცია ყველასათვის

25 ოქტომბერს სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალში გაიხსნა საქალაქო კურსები შრომის მეცნიერული ორგანიზაციის საკითხზე თბილისის საწარმოთა დირექტორებისათვის, მთავარი ინჟინრებისათვის, პარტიული ორგანიზაციების მდივნებისა და შრომის მეცნიერული ორგანიზაციის სამსახურის ხელმძღვანელებისათვის.

მეცადინეობა გახსნა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მეორე მდივანმა ი. შეშარდნაძემ.

მეცადინეობის პირველ დღეს კურსების მსმენელებს წაუკითხეს ლექციები „შრომის მეცნიერული ორგანიზაცია და ხარისხი“, „სოციალიზმის ეკონომიური კანონები და წარმოების ეფექტიანობა“, „სამეურნეო რეფორმა და შრომის მეცნიერული ორგანიზაცია“ სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა სრულიად საკავშირო საბჭოს საიმედობის კომიტეტის თავმჯდომარემ ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორმა ი. სორინმა, რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ ი. ბაძარაძემ და ამავე ინსტიტუტის დოცენტმა ნ. ხუციძემ.

კურსების მუშაობაში მონაწილეობს 400 მსმენელი. მეცადინეობა, რომელსაც ხელმძღვანელობენ ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და საზოგადოება „ცოდნის“ საქალაქო განყოფილება, მაისამდე გასტანს. მოიხმენენ შრომის მეცნიერული ორგანიზაციის აქტუალური საკითხებისადმი მიძღვნილ 21 ლექციას. (საქდესი).

ბ. ბ. ბ.

კპკ-ის ერთგული თანაშემწე

ჯილდო გვაავალებს

სასიხარულო ცნობამ რუსთავის კომკავშირის საქალაქო ორგანიზაციის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ უდიდესი სიხარული გამოიწვია ჩვენი ქალაქის თვითეულ კომკავშირელსა და ახალგაზრდაში. ეს მაღალი ჯილდო ეკუთვნის ყველა ჭაბუკსა და ქალიშვილს, რომლებიც დღიდან ქალაქის მშენებლობისა იდგნენ და კვლავაც დგანან ახალშენებლობათა ხარაზოებზე, დგანებთან, აგრეგატებთან, ღუმელებთან, საკონტროლო-საზომ ხელსაწყოებთან და შემოქმედებითი და გაბედული შრომით სჯიდენ ყოველდღიურ გამარჯვებებს.

მართლაც, მაღალი შეფასების ღირსი არიან ჩვენი ახალგაზრდები, რომლებმაც დაამტკიცეს, რომ ადამიანებს სასწაულების მოხდენა შეუძლიათ, თუ ნათელი მიზნისათვის იბრძვიან. აბა ვინ იფიქრებდა, რომ მეოთხედი საუკუნის მანძილზე ამენდებოდა ისეთი მძლავრი ინდუსტრიული ცენტრი, როგორიც არის დღეს ჩვენი ქალაქი.

ვლაპარაკობთ რა რუსთავის კომკავშირელთა წვლილზე კომუნიზმის მშენებლობის საქმეში, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ისინი, ვინც სახელი გაუთქვა ახალგაზრდა ინდუსტრიულ ქალაქ რუსთავს. აი ისინიც: ა. ძამაშვილი და ვ. კოპერიძე, ა. ფანცულაია და ვ. ქაჯაია, შ. მოდებაძე და გ. სებისკვერაძე, ვ. გიგიბერია და მრავალი სხვა, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. სწორედ ისინი მოვიდნენ პირველად რუსთავის მშრალ ველზე და ახალგაზრდული ენერგიით შეუტიეს მომავალი ქალაქის მშენებლობას. ამ უფროსი თაობის ტრადიციებს ახლა ქალაქში ათასობით კომკავშირელი და ახალგაზრდა განაგრძობს.

მთელი რუსთავის ახალგაზრდობის სახელით პირობას ვაძლევთ მშობლიურ კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა მთავრობას, რომ კვლავაც ვიქნებით კომუნიზმის მშენებლობის მოწინავეთა რიგებში და ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ გავამართლოთ ეს დიდი ნდობა.

ო. მენაბდე,
საქართველოს ალკკ რუსთავის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი.

გულითადად ვულოცავთ

დიდი ზეიმის დღეებია ახლა რუსთავში. სიხარულს მოუცავს თვითეული ჩვენგანის გული. კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ უდიდესი შეფასება მისცეს ქალაქის კომკავშირული ორგანიზაციის საქმიანობას — დააჯილდოეს იგი შრომის წითელი დროშის ორდენით.

ვამაყობთ, რომ ამ დიდ შრომითს საქმიანობაში ჩვენი — უფროსი თაობის წვლილიც ურევია.

სულით და გულით ვულოცავთ ორდენოსან ჭაბუკებს და ქალიშვილებს მაღალ ჯილდოს და ვუსურვებთ შემდგომ წარმატებებს შემოქმედებითს შრომასა და პირად ცხოვრებაში.

ლ. ხარბედია, პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი,
ხ. შარაძენიძე, მეტალურგიული ქარხნის დირექტორი, ლენინური პრემიის ლაურეატი, ა. ფანცულაია, მეფოლადე, სოციალისტური შრომის გმირი.

დიდ გზაზე

ქედები! ასე უწოდებენ წითელწყაროს რაიონში იმ ადგილს, სადაც სამ სოფელს — ზემო ქედს, არხილოსკალოს და ქვემო ქედს გაუშლია მხრები. სოფლებს კი არა, ქალაქებს უფრო ჰგავს ნეონის შუქით გაჩირაღდნებული ეჩჩებით. აქ იშვიათია ოჯახი, რომელსაც ექვს და რვაოთახიანი, ორსართულიანი სახლი არ ჰქონდეს.

ქედის კომუნა ხომ გაგიგონიათ? — სწორედ აქ 1926 წელს ჩაეყარა საფუძველი კოლექტიურ შრომას. ახალგაზრდა კობა ჩოხელი სოფელში დაბრუნდა სამოქალაქო ომის ფრონტიდან. ახალი ცხოვრების შესახებ საუბრით, რომელსაც წითელი არმიის ჩიგებში პოლიტიკურ მეცადინეობებზე გაეცნო, დიდი გავლენა და სხეყვრული მოიპოვა სოფელში.

— უნდა გავერთიანდეთ, ცალულიელა ხარებით შორაქის მიწას ვერ მოვხნავთ, ბარაქას ვერ მოვკიდებთ ჩვენს ოჯახს, — ეტყოდა ხოლმე კობა ჩოხელი.

კობამ სამთავისის კომუნაში კაცი აფრინა, რომელმაც დაწვრილებით შეისწავლა მისი წყობა. 1926 წლის 20 იანვარს ზემო ქედის კომუნის დამფუძნებელ კრებაზე 17 უღრიბეხი კომლი გაერთიანდა.

კომუნაში გაერთიანეს უძარავ-მოძრავი ქონება, თავიანთი წესდებაც ამით გაამაგრეს, რომ ჩაწერეს. „ვინც ერთ წლამდე მოითმოგოს გასვლას კომუნიდან, არ მიეცეს თავისი ქონება...“

ერთბანს კარგად გაშალა მხრები კომუნამ. ბევრი მოხნა და დათესა. ბევრი ცხვარ-ძროხაც გაიჩინა, მაგრამ ფრთები არც კერძო მეურნეობას ჰქონდა შეკვეცილი. ეს იყო ისეთი პერიოდი, როცა სამოქალაქო ომებით განადგურებული სოფლის მეურნეობის აღდგენის მიზნით მთავრობისაგან სესხიც კი ეძლეოდათ კერძო მეურნეობებს. განსაკუთრებით შურით უყურდა კომუნას კულაკობა.

ქედის პირველი კომუნარები: კობა ჩოხელი, სიმონ ჩოხელი, გიგო მკერვალიძე, სონა წიკლაური, ვასო შავერდაშვილი, სანდრო გოგიშვილი, პავლე მნათობიშვილი, სტეფანე წიკლაური, ვასილ ქავთარაძე და სხვები, რომელთა უმრავლესობაც კომუნისტები იყვნენ. ბევრჯერ იარაღით ხელში იცავდნენ თავიანთ მონაპოვარს. მთ ყოველთვის მხარში ედგა კომკავშირი.

— ერთ დღეს, — იგონებს პირველი კომუნარი სიმონ ჩოხელი, — სოფლიდან ჩვენს სოფელში ჩამოვიდა კომკავშირის სამაზრო კომიტეტის ინსტრუქტორი არჩილ დავითაშვილი, რომელმაც კომკავშირული უჯრედის შექმნის მიზნით სოფლის ზემო ალგაზრდობის კრება მოიწვია. ათმა ახალგაზრდამ: ს. ჩოხელმა, ვ. ქავთარაძემ, ა. კობაიძემ, დ. ჩოხელმა, ვ. გვრიტიშვილმა, გ. მკერვალიშვილმა, ვ. შავერდაშვილმა, ნ. გვრიტიშვილმა გ. წიკლაურმა და ალექსანდრე ჩოკოშვილმა, რომელიც არჩიეულ იქნა კომკავშირული უჯრედის მდივნად, გამოთქვეს კომკავშირში შესვლის სურვილი. თვითონ კობა ჩოხელი, რომელიც იმ დროს პარტიის წევრი იყო, — კომკავშირის საპატიო წევრად აირჩიეს.

— ნოემბრის სუსხიანი დილა იყო, — ამბობს სტეფანე წიკლაური, — ის იყო ნაწილობიდან ავიშალენით და სამუშაოდ უნდა გავსულიყავით, რომ ივრის საძოვრებიდან, სადაც 7.000 სული ცხვარი გვედგა, მწყემსი მოგვადგა. საწყალს მთელი ღამე ეცლო, სულ გათოშილიყო.

— მაჰმად კასუმა დაგვეხმა თავისი რაზმით... ისინი ბევრი არიან... ტუვიაწამალიც გვითავდება, — ნაწყვეტ-ნაწყვეტად ამოილულლუღა მომსვლელმა.

რამდენიმე წუთში თხუთმეტამდე კომუნარმა აისხა იარაღი. მათ შორის იყვნენ კომუნისტები პავლე მნათობიშვილი, ვასილ ქავთარაძე, კომკავშირელები: სიმონ ჩოხელი, დიმიტრი გოგოლაშვილი და სხვები. ამ დროს მიუსწრეს უაჩადან ჩვენს სოფელში ჩამოვიდა კომკავშირის სამაზრო კომიტეტის ინსტრუქტორი არჩილ დავითაშვილი, რომელმაც კომკავშირული უჯრედის შექმნის მიზნით სოფლის ალგაზრდობის კრება მოიწვია. ათმა ახალგაზრდამ: ს. ჩოხელმა, ვ. ქავთარაძემ, ა. კობაიძემ, დ. ჩოხელმა, ვ. გვრიტიშვილმა, გ. მკერვალიშვილმა, ვ. შავერდაშვილმა, ნ. გვრიტიშვილმა გ. წიკლაურმა და ალექსანდრე ჩოკოშვილმა, რომელიც არჩეულ იქნა კომკავშირული უჯრედის მდივნად, გამოთქვეს კომკავშირში შესვლის სურვილი. თვითონ კობა ჩოხელი, რომელიც იმ დროს პარტიის წევრი იყო, — კომკავშირის საპატიო წევრად აირჩიეს.

— ნოემბრის სუსხიანი დილა იყო, — ამბობს სტეფანე წიკლაური, — ის იყო ნაწილობიდან ავიშალენით

და სამუშაოდ ვემზადებოდით, ცხენებზე ამეკიდა ბურნაგები, ავიღეთ ბაღანები, ავიკიდეთ ბაღანებზე ბურნაგები, ავიკიდეთ ბაღანებზე ბურნაგები, ავიკიდეთ ბაღანებზე ბურნაგ

„ზონდი-5“ დედამიწას უყურებს

1968 წლის 21 სექტემბერს საბჭოთა ავტომატური სადგური „ზონდ-5“, ამთავრებდა რა შვიდი დღე-ღამის კოსმოსური რეისს, მეორე კოსმოსური სიჩქარით შევიდა დედამიწის ატმოსფეროში და მშვიდობიანად დაეშვა წყალზე ინდოეთის ოკეანის აკვატორიის გაანგარიშებულ რაიონში.

პირველად მსოფლიოში სპალანეტათშორისო ტრასიდან დედამიწაზე დაბრუნდა მეცნიერული კვლევის მასალები.

ავტომატური სადგური „ზონდ-5“-ის კვლევის პროგრამაში ერთ-ერთი ამოცანა იყო დედამიწის ფოტო გადაღება მთვარის გარშემო შემოფრენის შემდეგ ჩვენს პლანეტაზე სადგურის დაბრუნების დროს. წარმატებით განხორციელებული ექსპერიმენტის შედეგად დედამიწაზე მიღებულია პლანეტის ზედაპირის ფოტოსურათები, რომლებსაც დიდი მეცნიერული მნიშვნელობა აქვს.

ცნობილია, რომ კოსმოსიდან დედამიწის ფოტო გადაღების საშუალებით შეიძლება მივიღოთ ძალიან მნიშვნელოვანი ცნობები პლანეტის შესახებ. კერძოდ, დედამიწის ზედაპირის ფოტოსურათების ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ დიდი მეტეოროლოგიური სტრუქტურების — ციკლონების, ანტიციკლონების, ღრუბელთა წარმონაქმნების სივრცობრივი განლაგება გადაღების მომენტისათვის, რაც სხვა მეტეოროლოგიურ მონაცემებთან ერთად შესაძლებლობას გვაძლევს გამოვიტანოთ დასკვნები, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ამინდის პროგნოზირებისათვის. დედამიწის კოსმოსური ფოტოგადაღება საშუალებას გვაძლევს შევისწავლოთ დედამიწის ზედაპირის არეკვლის უნარი, რამდენადაც სხვადასხვა მყარი სხეული სხვადასხვანაირად აირეკლავს სხივებს, ამ არეკვლის ხასიათით შეგვიძლია ვიმსჯელოთ შესასწავლი ობიექტის ბუნებაზე. მატერიკების, ოკეანეების, ზღვების, ტყის მასივების და სხვათა არეკვლის კოეფიციენტების განსაზღვრა დიდ შესაძლებლობებს გვაძლევს არა მარტო დედამიწის, არამედ მზის სისტემის სხვა პლანეტების შესასწავლადაც.

ავტომატურმა სადგურმა „ზონდ-5“-მა დედამიწასთან 90 ათას კილომეტრზე მიახლოების დროს გადაიღო პლანეტის იმ მხრის ფოტოსურათი, რომელზეც სადგური უნდა დაშვებულიყო. ფოტოგრაფირება წარმოებდა 12 საათსა და 08 წუთზე მოსკოვის დროით. მზის სხივებით განათებული იყო დედამიწის ზედაპირის ხილული ნაწილი, რომელიც შემოფარგლება მერიდიანებით — დასავლეთის გრძედის 50 გრადუსი და აღმოსავლეთის გრძედის 60 გრადუსი. ფოტოსურათზე კარგად მოჩანს მატერიკები და წყლის ზედაპირის მოხაზულობა, ხმელთაშუა ზღვის, შავი, კასპიისა და არალის ზღვების რაიონები, არაბეთის ნახევარკუნძული, ირანის მთიანეთი და აფრიკის დიდი ნაწილი. აფრიკის ტერიტორიაზე კარგად ჩანს მდინარეები ნილოსი, ლიმპოპო, ზამბეზი, აგრეთვე ნიასისა და ჩადის ტბები. ფოტოსურათზე კარგად მოჩანს ღრუბლიანობა: ბოლქვა ღრუბლები, ბუმბულისებრ-ბოლქვა და დიდბოლქვა ღრუბლები. ატლანტის ოკეანის ჩრდილოეთ ნაწილისა და ჩრდილოეთ ევროპის თავზე მოჩანს ორი ციკლონური ღრუბლოვანი სისტემა.

როგორც ცნობილია, საბჭოთა კოსმოსური სისტემის „შეტეორის“ მეტეოროლოგიური თანამგზავრები დიდ პრაქტიკულ დახმარებას უწევენ ამინდის მსოფლიო სამსახურს. უეჭველია, რომ დედამიწის ფოტოგრაფირება დიდი კოსმოსური მანძილიდან აგრეთვე არსებით წვლილს შეიტანს ჩვენი პლანეტის საიდუმლოებათა ამოცნობაში.

(საკდესი).

სურათზე: დედამიწის გამოსახულება, გადაღებული 1968 წლის 21 სექტემბერს დაახლოებით 90.000 კილომეტრი მანძილიდან ავტომატურ სადგურ „ზონდ-5“-ზე დადგმული ფოტოაპარატით.

საკდესის ფოტოქრონიკა.

მოწინავე ეკიპაჟები

ბათუმი. (საკ. კორ.). მეორე კვარტალის შედეგების მიხედვით საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ხელმძღვანელობამ, საზღვაო და სამდინარო ფლოტის მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად ცნეს ტანკერ „კიროვის“ ეკიპაჟი (კაპიტანი რ. ჯიბლაძე) და შეუნარჩუნეს სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის სამინისტროსა და საზღვაო და სამდინარო ფლოტის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი ალამი. ეკიპაჟის კოლექტივი დაჯილდოებულია აგრეთვე პირველი ფულადი პრემიით. მეორე ადგილი მიიკუთვნა ტანკერ „ალაგირის“ ეკიპაჟს (კაპიტანი ი. ჯინჭარაძე). იგი ალამთან ერთად მეორე ფულადი პრემიითაც დაჯილდოეს.

გამარჯვებულ ეკიპაჟებს საზღვაო ვითარებაში გადაეცათ დამსახურებული ჯილდოები.

ახალგაზრდული კლუბი

რუსთავი, (საკ. კორ.). მეტალურგთა ქალაქში ახლახან გაიხსნა ახალგაზრდული კლუბი. კლუბში, რომელსაც 8 სექცია აქვს, ყოველ შაბათობით ეწყობა ახალგაზრდების ორგანიზებული შეხვედრები. უკრავს ახალგაზრდული სიმფონიური ორკესტრი „მეტალური“. გასულ შაბათს თეატრალური სექციის წევრებმა წარმოადგინეს კომიკური სცენები, ჩატარდა მუსიკალური ვიქტორინა, ახალგაზრდა პოეტებმა წაიკითხეს საკუთარი ლექსები.

კლუბი, რომელიც კომკავშირის 50 წლისთავის ზეიმის დღეებში გაიხსნა, ახალგაზრდობის გართობის საუკეთესო კერაა.

..საქართველოს აგიტატორი“ № 20

გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების ჟურნალ „საქართველოს აგიტატორის“ მორიგი, მეოცე ნომერი.

ჟურნალში გამოქვეყნებულია სტატიები და წერილები: ოქტომბრის დროშით: რ. მეტრეველი — იუბილარი ლენინური კომკავშირი; კომკავშირის ბრძოლისა და შრომის სახელოვანი გზა; შ. ვარშანიძე — დიადი ლენინური მემკვიდრეობის პროპაგანდა; სრულიად რუსეთის საბჭოების VI საგანგებო ყრილობა; ჩეხოსლოვაკია, ჩვენი მეზობელი 51 წლისაა; ვ. ნათაძე — ივანე სერგის-ძე ტურგენევი; ზ. გილაური — როგორ ვეწევით ადამიანთა იდეურ აღზრდას; გ. შენგელია — პოლიტიკური მუშაობა საბჭოთა დაწესებულებაში; საერთაშორისო შენიშვნები; ბრაზავილის კონგო.

უნივერსიტეტის სტუმრები—გელათში

გელათის აკადემიის ძველისძველი მიწა, რომელიც XII საუკუნეში საქართველოს სწავლა-განათლების ცენტრი იყო, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 50 წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო ზეიმის მონაწილეთა შეკრების ადგილი გახდა.

სტუმრებმა დიდი ინტერესით დათვალიერეს ქართული ხუროთმოძღვრების განძქმული მეგელი — გელათის მონასტრის კომპლექსი.

—ხალხმა, რომელმაც თავის შთამომავლებს დაუტოვა ისეთი [illegible] როგორიც ეს მონასტერია [illegible] ლეიდენის უნივერსიტეტის ლიტერატურის ფაკულტეტის პროფესორმა ა. კუიპერსმა, — უეჭველად უნდა მიეღწია იმისათვის, რასაც ქართველმა ხალხმა ამკამად მიაღწია.

ციურიხის უნივერსიტეტის ქართველოლოგმა ლ. ფლურმ ქართულ ენაზე წაიკითხა ნ. ბარათაშვილის „მერანი“.

ამ დღეს ბევრი გულითადი სიტყვა თქვეს საქართველოს ძვირფასმა სტუმრებმა. გამოვიდნენ ბუდაპეშტის უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ძ. ნაზი, ბუენოსაირესის უნივერსიტეტის რექტორი პროფესორი ჟ. ლიეშესკუ, იენის უნივერსიტეტის პროფესორი ქართველოლოგი ბ. ჰეზი, ვაშინგტონის უნივერსიტეტის პროფესორი ჯ. ბ. �რაჯინი.

სტუმრები განაგრძობენ დასავლეთ საქართველოს ქალაქების გაცნობას.

(საქდესი).

..საქართველოს აგიტატორი“ № 20

გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების ჟურნალ „საქართველოს აგიტატორის“ მორიგი, მეოცე ნომერი.

ჟურნალში გამოქვეყნებულია სტატიები და წერილები: ოქტომბრის დროშით: რ. მეტრეველი — იუბილარი ლენინური კომკავშირი; კომკავშირის ბრძოლისა და შრომის სახელოვანი გზა; შ. ვარშანიძე — დიადი ლენინური მემკვიდრეობის პროპაგანდა; სრულიად რუსეთის საბჭოების VI საგანგებო ყრილობა; ჩეხოსლოვაკია, ჩვენი მეზობელი 51 წლისაა; ვ. ნათაძე — ივანე სერგის-ძე ტურგენევი; ზ. გილაური — როგორ ვეწევით ადამიანთა იდეურ აღზრდას; გ. შენგელია — პოლიტიკური მუშაობა საბჭოთა დაწესებულებაში; საერთაშორისო შენიშვნები; ბრაზავილის კონგო.

ეროვნული ლიტერატურა

ვ. ბაძაღუა

ვ. ბაძაღუა (ბაიდარი-ერთიანი) — **ეროვნული** საქართველოს დამსახურებული ავტორი, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეფუტკრეობის სამმართველოს უფროსი ვარლამ ნესტორის-ძე ბაძაღუა.

ვ. ბაძაღუა დაიბადა 1910 წელს ჩხოროწყუს რაიონის სოფელ მუხურში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, 1929 წელს შევიდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, რომელიც დამთავრა 1934 წელს.

ვ. ბაძაღუამ განვლო ლირსეული შრომითი გზა რიგითი მუშადან სამმართველოს უფროსამდე. იგი 1933-1939 წლებში მუშაობდა ჩხოროწყუს რაიაბრეშუმის გამგედ, რაიმიწგანის გამგედ, საქართველოს აბრეშუმის ტრესტის განყოფილების უფროსად, ხოლო 1939-1941 წლებში სწავლობდა სკკპ უმაღლეს პარტიულ სკოლაში, რომლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პარტიულ-კომკავშირული ორგანოების სექტორის გამგედ, ხოლო 1942 წლიდან 1947 წლამდე იყო საქართველოს კპ გაგრის რაიკომის მდივნის თანამდებობაზე. ვ. ბაძაღუა 1947 წლიდან 1950 წლამდე მუშაობდა ჩხოროწყუს რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ, 1950 წლიდან 1959 წლამდე ხელმძღვანელ სამეურნეო სამუშაოებზე ჯერ № 6 წისქვილკომბინატის დირექტორად, შემდეგ ტყეარჩელქვანახშირტრესტის მმართველის მოადგილედ, გარდაბნის მეხილეობა-მებამსტენრეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორად, ხოლო 1959 წლიდან გირდაცვალებამდე ხელმძღვანელობდა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეფუტკრეობის სამმართველოს.

საქმიანი, პრინციპული კომუნისტის, თავმდაბალი და გულისხმიერი ამხანაგის ვ. ბაძაღუას ნათელი ხსოვნა მუდამ დარჩება მისი მეგობრებისა და ამხანაგების გულში.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მეფუტკრეობის სამმართველო; საქართველოს სსრ მეფუტკრეობის ნეგაყოფლობითი საზოგადოება.

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას

ნეგა გვიბძანეთ თქვენი გაზეთის მეშვეობით მადლობა მოგახსენოთ ყველა დაწესებულებასა და კერძო პირს, რომლებმაც თანაგრძნობა გამოგვიცხადეს პროფესორ ილია აბულაძის გარდაცვალების გამო და პატივი სცეს მის ხსოვნას.

პროფ. ი. აბულაძის ოჯახი.

...ეკრანიზაციის ... ...

ბორდიგალა. 1931 წლის ... ივლისი ... ...